საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

2020

11.11.2021

www.geostat.ge

11.11.2021

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში
გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2020 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოთა 95.0 პროცენტს ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. ამასთან, საწარმოთა 76.1 პროცენტი ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH), საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და ა.შ.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს იმ საწარმოთა პროცენტულ განაწილებას ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით, რომელთაც ინტერნეტზე ჰქონდათ წვდომა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარე საწარმოებში



11.11.2021

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოებში დასაქმებულთა 32.7 პროცენტი იყენებდა საწარმოს კუთვნილ პორტატულ კომპიუტერს ან სმარტფონს, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან კავშირს (მხოლოდ საწარმოს მიზნებისთვის), ხოლო იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებ-გვერდს ან ვებ-საიტს, განისაზღვრა 19.7 პროცენტით.

სამიზნე საწარმოთა ვებ-გვერდებს ან ვებ-საიტებს გააჩნდათ შემდეგი ტიპის შესაძლებლობები/საშუალებები:

საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები/საშუალებები



საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოციალური ქსელი (Facebook, Linkedin და ა.შ.) – 28.5 პროცენტი, ხოლო საწარმოთა 62.8 პროცენტი საერთოდ არ იყენებდა სოციალური მედიის საშუალებებს.

საწარმოთა 4.1 პროცენტს ჰქონდა საქონლისა და მომსახურების ვებ გაყიდვები, რომელთა 81.0 პროცენტს შეადგენდა გაყიდვები კერძო მომხმარებლებზე (B2C), 16.8 პროცენტს - გაყიდვები სხვა საწარმოებზე (B2B) და 2.2 პროცენტს გაყიდვები საჯარო სექტორზე (B2G).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge